ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31210281**
თარიღი: **28/01/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“

სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი 25.01.2021წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე. **ფრაქციის წევრები:** ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი.

მოწვეული პირი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ლელა ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ლელა ჩახვაძე/

2.სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარე ლელა ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

1.დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ფრაქციის სხდომს გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სოციალური გაცემისა და მიღების წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და

გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა)ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;

გ)სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;

დ) ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.

ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა.

ს) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

ტ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა.

უ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.

ფ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს, რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის თამარ ფირცხალაიშვილის განმარტებით, ბავშვთა დახმარების პროგრამას დაემატა ორი ახალი პროგრამა, ხოლო ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე დაემატა კიდევ ორი ფულადი სოციალური დახმარებების პროგრამა. ესენია:

ქ)ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა.

ღ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ყ) კოვიდ 19-ით ინფირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა.

-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე კოვიდ 19-ით ინფირებული ბენეფიციარები რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19-ი და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების, კვლევების ჩასატარებლად და გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. გადაწყვეტილება მიიღება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

შ) კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ დასკვნის მომზადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა კოვიდ ინფიცირებულის დაკრძალვისთვის საჭირო აღჭურვილობა (პირბადე, ფარი, ქუდი , ბახილი, ერთჯერადი ხალათი, სადეზინფექციო ხსნარი, სპეც. ჩანთა და ხელთათმანი).

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს:

ა) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება დელეგირებული

უფლებამოსილებების ფარგლებში;

გ) ბავშვის მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მათი განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

დ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის ქსელის შექმნა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

ე) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით კოორდინირებული მუშაობა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ვ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

ზ) ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევის, მათი რეგისტრაციის და სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის პროცესის უზრუნველყოფა;

თ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება; ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებები.

განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობას;

ბ) საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობას;

გ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით განყოფილების ფუნქციების, ამოცანებისა და საქმიანობის მნიშვნელობის განმარტებას.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა ეფუძნება საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპს.

ბავშვისა და ოჯახისა სოციალური მუშაკი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) ახორციელებს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით;

ბ) შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე;

გ) უზრუნველყოფს ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით დადგენილი მომსახურებებისადმი ბავშვის ხელმისაწვდომობას;

დ) კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმის აღსრულების პროცესს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე

უფლებამოსილ სუბიექტებთან თანამშრომლობით;

ე) საქმის წარმოების ერთიანი სისტემის გამოყენებით მონიტორინგს უწევს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების პროცესს და ადგენს ანგარიშს;

ვ) საგანმანათლებლო-აღმზრდელობით, კულტურისა და სასპორტო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე;

ზ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ბავშვის ფსიქოლოგი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) მონაწილეობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინური განხილვის პროცესში;

ბ) ადგენს ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობას, სწავლობს მის ქცევას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

გ) საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპის გათვალისწინებით და მეუღლეების თანხმობით ახორციელებს ახალშექმნილი ოჯახის მხარდაჭერას შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში. აღნიშნული სერვისის განხორციელების მიზნით ბავშვის ფსიქოლოგი ბავშვისა და ოჯახის სოციალურ მუშაკთან ერთად, გარკვეული პერიოდულობით ახდენს ბენეფიციარის ოჯახში ვიზიტს;

დ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) მონაწილეობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინური განხილვის პროცესში;

ბ) ადგენს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებელი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების შესახებ;

გ) საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპის გათვალისწინებით და ოჯახის თანხმობით ახორციელებს ოჯახის მხარდაჭერას შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, ქალის ორსულობის პერიოდში და მშობიარობიდან 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული სერვისის განხორციელების მიზნით ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი ბავშვისა და ოჯახის სოციალურ მუშაკთან ერთად, გარკვეული პერიოდულობით ახდენს ბენეფიციარის ოჯახში ვიზიტს;

დ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებისთვის გამოყოფილი თანხა არის მიზერული და საჭიროა მისი გაზრდა, რაც ფრაქციის წევრების მიერ იქნა გაზიარებული.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე3, წინააღმდეგი არცერთი.

2. სხვადასხვა.

ფრაქციის წევრმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ უამინდობის შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ალაგ-ალაგ დაზიანდა გზის საფარი და საჭიროებს დროულ მიხედვას.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლელა ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთის განვითარებისთვის"-საკრებულოს ფრაქცია "ლანჩხუთის განვითარებისთვის"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
„ლანჩხუთის განვითარებისთვის“ ფრაქციის წევრების
სარეგისტრაციო ფურცელი

25.01.2021 წელი 14:00 საათი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ლელა ჩახვაძე	14:07	
2. ირაკლი მარშანიშვილი	14.10	
3. ამირან გიგინეიშვილი	14	